

ნატალია გვიმრაძე

დაბადების თარიღი: 15/02/2007
სკოლა: კავკასიის სახელწმიფო მართვის სკოლა
პროგრამა: დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები
კურსი: 3
CU ელ. ფოსტა: N_GVIMRADZE@CU.EDU.GE

ჩემს შესახებ:

მე ვარ ნატალია გვიმრაძე, კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი. საერთაშორისო გამოცდილება მივიღე ჩინეთში, სადაც ვსწავლობდი პეკინის ენებისა და კულტურის უნივერსიტეტსა (BEIJING LANGUAGE AND CULTURE UNIVERSITY) და იანგჭოუს უნივერსიტეტში (YANGZHOU UNIVERSITY). სწავლის პერიოდში აქტიურად ვთანამშრომლობდი ლექტორებთან და ყოველდღიური კომუნიკაცია მქონდა როგორც ჩინელ, ისე სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებთან. ამ გამოცდილებამ მნიშვნელოვნად განავითარა ჩემი კომუნიკაციის, ადაპტაციისა და კულტურათაშორისი ურთიერთობის უნარები, ასევე დამეხმარა მრავალფეროვან საერთაშორისო გარემოში მუშაობის გამოცდილების მიღებაში.

განსაკუთრებული ინტერესი მაქვს უცხო ენების შესწავლის მიმართ. ვფლობ ქართულ, ინგლისურ, რუსულ და ჩინურ ენებს, ამჟამად ვსწავლობ ესპანურს, ხოლო მომავალში ფრანგული ენის შესწავლასაც ვგეგმავ, რადგან მსურს განათლების გაგრძელება საფრანგეთში. ჩემი ერთ-ერთი მთავარი ჰობია მოგზაურობა, რადგან მომწონს ახალი ქვეყნებისა და მათი კულტურის, ტრადიციებისა და ცხოვრების წესის გაცნობა. მიმაჩნია, რომ ენების ცოდნა და კულტურული მრავალფეროვნების გაცნობა საუკეთესო საშუალებაა ადამიანებთან, კულტურებთან და ახალ შესაძლებლობებთან დასაკავშირებლად.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩის როლი მაძლევს შესაძლებლობას, საერთაშორისო სტუდენტებს უნივერსიტეტთან და ახალ გარემოსთან ადაპტაციაში დავეხმარო, გავუზიარო მათ ჩემი გამოცდილება და შევუქმნა მეგობრული გარემო. ამავდროულად, ეს ჩემთვისაც არის შესაძლებლობა, განვავითარო ლიდერული და კომუნიკაციის უნარები, გავიცნო ახალი ადამიანები და კიდევ უფრო გავაღრმაო საერთაშორისო გამოცდილება.

კავკასიის უნივერსიტეტის ელჩი CAUCASUS UNIVERSITY AMBASSADOR